ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 12

ქ. თბილისი

30.04.2018 წ.

შემსყიდველი: ა(აი)პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დირექტორის ზაზა დოლიძის სახით
მისამართი: ქ.თბილისი , ი.ჭავჭავაძის გამზ N78
ტელ: 599331166
საიდენტიფიკაციო კოდი: 405135786
სახელმწიფო ხაზინა,
კოდი TRESGE22
GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი: შპს „ალმანიკო", წარმოდგენილი მისი დირექტორის რობერტ ბოკოვის სახით,
მისამართი: ქ. თბილისის, ფალიაშვილის ქუჩა N62ა
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22
ა/ა GE14BG0000000335987800
საიდენტიფიკაციო კოდი 205273693

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის/მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(აი)პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტომანქანის Skoda Octavia-ს (სახელმწიფო ნომრით MSY-505) **რეცხვის და ქიმწმენდის მომსახურების** (CPV:50100000) შესყიდვა. რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 368.00 (სამასსამოცდარვა)ლარს.
3.3 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

N	მომსახურების დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	სტანდარტული/მსუბუქი (სედანის ტიპის) ავტომობილის რეცხვა	32	9.0	288.00
2	სტანდარტული/მსუბუქი (სედანის ტიპის) ავტომობილის ქიმწმენდა	1	80.0	80.00

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: საკუთარი შემოსავლები

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ტალონების გადაცემის შემდეგ.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე გიორგი კალანდაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მომსახურება განხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ავტოსამრეცხაო სადგურები, რომლებიც მდებარეობს შემდეგ მისამართებზე:
1. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43/1 4 ბოქსი
2. ქ. თბილისი, რამაზ შენგელიას 12- 2 ბოქსი;

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებლი ვალდებულია:
7.1.1 უზრუნველყოს არაუმეტეს 33 ცალი ტალონის შემსყიდველისათვის უსასყიდლოდ მიწოდება მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.1.2 უზრუნველყოს ავტომობილების როგორც გარედან, ისე შიდა (სალონი, საბარგული) რეცხვა. ამასთან, რეცხვა უნდა მოხდეს ხელით სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით. რეცხვის შემდეგ უნდა მოხდეს ავტომობილის გამშრალება.
7.1.3 რეცხვისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე რეცხვისათვის განკუთვნილი სარეცხი და საწმენდი საშუალებები;
7.1.4 მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მიყენებული ნებისმიერი ზარალის აღმოფხვის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
7.1.5 მიმწოდებელმა რეცხვის მომსახურება უნდა განახორციელოს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ტალონის წარდგენის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 1 საათისა;
7.1.6 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდული მომსახურების სრულად გამოყენებამდე მოემსახუროს შემსყიდველს.
7.1.7 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების - მსუბუქი ავტომანქანის, ქიმიური წმენდის მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ინტერიერის (სალონი და საბარგული) სრულად წმენდას შესაბამისი ხსნარებით.
7.1.8 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინტერიერის (სალონი საბარგული) ქიმიური წმენდა. წმენდა უნდა მოხდეს სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების გამოყენებით,

7.1.9 წმენდისას უნდა მოხდეს სალონის პლასტიკური და ტყავის ელემენტების დამუშავება დამცავი და დამარბილებელი სპეციალური სითხით და კრემებით, სალონის გაწმენდა და დეზინფექცია, არასასიამოვნო სუნის ლიკვიდაცია.

7.1.10 მიმწოდებელმა ქიმწმენდის მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ტალონის წარდგენიდან არაუმეტეს 48 საათში;

7.1.11 მიმწოდებელს არ აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ ტალონის წარმდგენს მოსთხოვოს რეცხვის ან ქიმწმენდის მომსახურების გაწევისათვის ანაზღაურება. მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის წარდგენის შემთხვევაში მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურების გაწევა, როგორც ხელშეკრულების მთლიან ვადაში, ასევე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომაც.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას დააგვიანებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

8.4 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10% ზე მეტი ოდენობით.

9.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.5 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3 მიმწოდებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

10.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

13.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

14.ზოგადი დებულებები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

14.3ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით

მიმწოდებელი :

მიმწოდებელი: